



# ტექნიკა და უსაფრთხოება

N5 2021

სამეცნიერო-შეფენებითი გადოვნა საინჟინრო სისტემებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ

TECHNIQUES & SAFETY



- „კოვიდ-19“ გლობალური მავნების კონტროლის მექანიზმი და გენერალური რეკვიზიტის მსოფლიოს ახალ წესრიგზე გადასაყვანად
- ფილანთროპი - ბილ გეიტსი. ფილანთროპი? თუ არა გეიტსის არ მქონა?
- საწყისის სასრული და სასრულის საწყისი. ჟამი ადამიანთა არაადამიანურებისა
- მსოფლიოს მართვის თეორიები. „რომის კლუბი“ და „ბილდერბერგის კლუბი“
- მსოფლიოს მართვის თეორიები - ალენ დალესი
- მიმდინარე მიზნები და ამოცანები

## ტექნიკა და უსაფრთხოება

დამფუძნებელი და  
მთავარი რედაქტორი  
ვიტრეზი გრატიანოვილი

რედაქტორები:  
ზვიადი ღვინიაშვილი  
ვალერი გაბანიძე

გამომცემლობა:  
“საგოგადოებრივი  
უსაფრთხოების  
ანალიტიკური ცენტრი“

რედაქციის მისამართი:  
თბილისი,  
გ.ჩუბინაშვილის ქ.27  
ტელ: 577 41 66 20  
599 39 20 38  
Email: [info@psac.ge](mailto:info@psac.ge)  
[psacge@gmail.com](mailto:psacge@gmail.com)  
[www.psac.ge](http://www.psac.ge)

მასალების გადაბეჭდვა  
რედაქციასთან  
შეთანხმების გარეშე  
აკრძალულია.

### ყურადღება!

გამოინერეთ “ტექნიკა  
და უსაფრთხოება“ და  
მიიღეთ მისამართზე  
კვარტალში ერთხელ!  
ტელ: 577 41 66 20

ISSN 2587-5515

3

### უსაფრთხოება

„კოვიდ-19“ გლობალური მუშაბის  
კონტროლის მექანიზმი და გენე-  
რალური რეპედიცია მსოფლიოს უხალ  
ნესრიგზე გადასახვანად

5

### უსაფრთხოება

ფილანდროვი - ბილ გეიტსი.  
ფილანდროვი? თუ არჩევანის არ  
მეორე?

15

### უსაფრთხოება

საწყისის სასრული და სასრულის  
საწყისი. შუამი ადამიანთა არა-  
ადამიანურობისა

26

### უსაფრთხოება

მსოფლიოს მართვის თეორიები.  
„რომის კლუბი“ და „ბილდერბერგის  
კლუბი“

31

### უსაფრთხოება

მსოფლიოს მართვის თეორიები -  
ალენ დალესი

35

### უსაფრთხოება

მიმდინარე მიზნები და ამოხსნები

სტატიის ავტორთა მიერ, მასალათა ძირითადი ნაწილი  
მოუზღადავებელია ინტერნეტ რესურსებზე და მათ შორის სხვა  
ლია წყაროებზე დაყრდნობით.

## „კოვიდ-19“ - გლობალური მაშტაბის კონტროლის მექანიზმი და გენერალური რეკვიზიტია მსოფლიოს ახალ წესრიგზე გადასაყვანად

დღეს, მსოფლიოს განვითარებულმა სახელმწიფოებმა, გლობალური მართვის პრინციპებზე დაყრდნობით, დედამიწაზე მოქმედი ფიზიკური კანონების ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე, ტექნოლოგიური განვითარების ზღვარს მიაღწია და უკვე რამოდენიმე ათეული წელია, განვითარების სხვა ევოლუციურ საფეხურზე გადაინაცვლა, რაც მზის სისტემის პლანეტარული კვლევების, ათვისებას და მართვის პოლიტიკას გულისხმობს.

ცხადია აღნიშნულ საფეხურზე გადასვლა, გაცილებით მეტ რესურსს საჭიროებს (წიაღისეულს, ენერგეტიკულს, ფინანსურს, ინფორმაციულს) და დღის წესრიგში აყენებს მსოფლიოს სახელმწიფოთა რესურსების ერთ „ყულაბაში თავმოყრის საჭიროებას“, საჭიროა გაერთიანებული ძალებით მოქმედება. ცხადია, არც ერთ სუვერენულ და განვითარებულ ქვეყანას, „ეკონომიკურ სუბიექტს“ არ აქვს სურვილი საკუთარი რესურსების „სხვისთვის“ გადაცემის, რაც დღეს, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში განვითარებული საომარი მოქმედებებით ვლინდება. უახლოესი 20 წელიწადის მანძილზე: ერაყი, ლიბია, უკრაინა, სირია,....

მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ძირითადი ღერძი დღეს გადის არა ეროვნულ, არამედ, „ტრანსნაციონალურ“, „ზეეროვნულ“ და ა.შ. ეკონომიკებზე, ანუ თანამედროვე (გლობალური) ეკონომიკის იმ სუბიექტებზე, სადაც იქმნება მსოფლიო სიმდიდრის უმეტესი ნაწილი. ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ) და ტრანსნაციონალური ბანკები (ტნბ), ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდნენ მსოფლიო ეკონომიკური სივრცის მთავარ სუბიექტებად. მათთვის, ფაქტობრივად, არ არსებობს სახელმწიფო საზღვრები მაშინ, როცა ახორციელებენ გლობალურ ეკონომიკურ საქმიანობას. ისინი, პრაქტიკულად, გადაიქცნენ მძლავრ ეკონომიკურ სახელმწიფოებად, რომლებიც ფლობენ რეალურ ეკონომიკურ ძალას და განკარგავენ უზარმაზარ ფინანსურ, საწარმოო-ტექნოლოგიურ, სამეცნიერო და ინფორმაციულ რესურსებს. [გიორგი კვინიკაძე].



ბირთვული არსენალის პირობებში, მსოფლიო რესურსების ხელში ჩასაგდებად, საომარი მოქმედებების თეატრის ფართო მამტაბებში გადაყვანა დღეისათვის, ყველა განვითარებული სახელმწიფოსათვის წამგებიანია. საჭიროა ისეთი (სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი) მექანიზმების შემუშავება, რაც მისცემს საშუალებას ბირთვული კომფლიქტის გამოწვევისაგან თავის არიდების და ამავე დროს აიძულებს, მსოფლიოს სახელმწიფოებს და ეკონომიკურ სუბიექტებს, საკუთარი რესურსების ნებით დათმობას. საბოლოო ჯამში, ერთი საერთო მიზნისკენ



ერთიანი ძალისხმევით სწრაფვას ერთი იდეოლოგიის მატარებელი გლობალური მთავრობის ფორმირება ესაჭიროება. აღნიშნულ არგუმენტს, ბრიტანეთის მედია საშუალება „გარდიანი“ ამყარებს, რომელიც იუწყება, რომ მიმდინარე წლის მარტის თვეში, ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა გორდონ ბრაუნმა, მსოფლიო ლიდერებს მოუწოდა, „კოვიდ-19“-ით გამოწვეული სამედიცინო და ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, დროებითი გლობალური მთავრობა შეექმნათ.

ზემოხსენებული არგუმენტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კოვიდ-19“ არის გლობალური მამტაბის, მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოებზე და ეკონომიკურ სუბიექტებზე ზეწოლის და კონტროლის საშუალება, გამიზნული, ძირითადად მოწინააღმდეგე გეო-ეკონომიკურ ოპონენტებზე.

მიმდინარე პროცესში „კოვიდ-19“-ის გავრცელების მამტაბებით გამოწვეული შედეგების ანალიზი, იძლევა საფუძველს გამოვავლინოთ ძირითადი გეო-ეკონომიკური ოპონენტების წრე (ჩინეთი, აშშ, იტალია, ესპანეთი, გერმანია, ბრიტანეთი, ირანი...), თუმცა, ჩინეთი, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ „ფარულ კონფლიქტში“ მაპროვოცირებელი წყაროს როლში მოგვევლინა და მალევე გადაინაცვლა „კულისებში“. ძირითად სამიზნედ კი, მაინც ევროპა რჩება.

მიმდინარე მოვლენის ე.წ. პანდემიის „კოვიდ-19“-ის მოქმედების გლობალური კუთხით შეფასება, გამოყოფს რამოდენიმე ასპექტს.: 1) რელიგიურს; 2) პოლიტიკურს; 3) ფინანსურს; 4) გეო-ეკონომიკურს.

რელიგიური ასპექტი ადამიანებს აერთიანებს და ცხადია ყველაზე ძლიერ იდეოლოგიურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც რწმენაზე და თავისუფალ ნებაზე არის დამყარებული და ამავე დროს ტრადიციული ელემენტებით არის გამყარებული. ცხადია, გლობალური საკითხების განვითარებაში ხელის შემშლელი ფაქტორია და საჭიროებს დისკრედიტაციას და დესტრუქტურიზაციას და ამავე დროს მსოფლიოს მოსახლეობის შემცირებას.



პოლიტიკურ ასპექტში ნაგულისხმებია შრომის უნარიან მასებზე პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვება;

ფინანსური ასპექტი ითვალისწინებს ფინანსური კრიზისის შექმნას მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოებში და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის შემცირებას, უკეთეს შემთხვევაში კი საერთოდ ამოღებას მოხმარებიდან.

გეო-ეკონომიკური ასპექტი გულისხმობს გეო-ეკონომიკურ კონკურენტთა ლიკვიდაციას.

აღნიშნული ასპექტებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ თავში დასახული მიზნების მიღწევა გლობალურ ქმედებებს და განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს, რისთვისაც ე.წ. „კოვიდ-19“ და მანამდეც არაერთი, პანდემიისა და ეპიდემიის (ესპანკა, ებოლა და სხვ.) სახელწოდებებით ცნობილი შემთხვევები, პრაქტიკულად, დღეისათვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა მსოფლიო წესრიგის შესაცვლელად და საერთო საკაცობრიო მნიშვნელობის, კოსმიური სივრციდან მომდინარე სასიცოცხლო საფრთხეების წინააღმდეგ დასარაზმად და მთელი რესურსების ზეპლანეტარული ამოცანებისაკენ მისამართად.

**პ. პრატიაშვილი**

## ფილანტროპი ბილ გეიტსი

### ფილანტროპი? თუ არჩევანის არ მქონა?

ბილ გეიტსი (William Henry Gates III, იგივე Bill Gates) ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანია პლანეტაზე. პროფესიით იურისტი, დაიბადა შეძლებულ ოჯახში, სიეტლში 1955 წლის 28 ოქტომბერს და 1975 წლიდან, არის კომპანია მაიკროსოფტის (Microsoft) დამაარსებელი, ქ. სიეტლი. 1980 წლიდან კომპანია „აი ბი ემ“-ის (IBM) პარტნიორი, მისი პროგრამული უზრუნველყოფა „ვინდოუსი“ (Windows) 1985 წლიდან გამოიყენება 10-დან 9 კომპიუტერულ ტექნიკაზე. რამაც ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად აქცია მსოფლიოში. მან დროულად გამსჭვალა გამოთვლითი ტექნიკის მზარდი საჭიროება მსოფლიოსთვის და გადაწყვიტა კომპანიის ჩამოყალიბება. ზოგი თვლის მას გენიოსად ხოლო ზოგიც უპრინციპო ბიზნესმენად. მას ყოველთვის იპყრობდა ერთადერთი იდეა - საკუთარი წარმატების მიღწევა და „მსოფლიოს დაპყრობა“ პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე. აშშ-ი კი, წარმატების მიღწევა მხოლოდ დიდი ფულის გამომუშავებაზე გადის.



1998 წლის სექტემბერში, ბილ გეიტსის კომპანიის „მაიკროსოფტის“ წინააღმდეგ, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტმა, აღძრა საქმე ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის წესების დარღვევისათვის, რომელიც უკავშირდებოდა კონკურენტი კომპანიის, „ნეტსკეიფი“-ს (NETSCAPE) წინააღმდეგ განხორციელებულ არაკეთილსინდისიერ ქმედებებს. რაც იმაში გამოიხატა, რომ „მაიკროსოფტმა“ დაიწყო „ნეტსკეიფის“ მიერ წარმოებული პროდუქტის, ანალოგიური პროდუქტის - „ინტერნეტ ექსპლორერის“ (Internet Explorer) წარმოება, დაუკავშირდა „ნეტსკეიფის“ კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელ კონტრაქტორ კომპანიებს (COMPAC და სხვ.) და შანტაჟის გზით (მის მიერ სახელწოდებული: „ჯიჰადი“ - წმინდა ბრძოლა კონკურენტების წინააღმდეგ) აიძულებდა საკუთარი პროდუქტის (Internet Explorer) უფასოდ გამოყენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, იგი პირდებოდა მათ, რომ ჩასვავდა შავ სიაში და არ მისცემდა „მაიკროსოფტის“ მიერ წარმოებულ ახალ ოპერაციულ სისტემებზე წვდომის უფლებას, რაც მათ მიერ წარმოებული კომპიუტერული ტექნიკისათვის, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი იყო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პოზიციების შესანარჩუნებლად.

აღნიშნული ქმედებების საფუძველზე, 1998 წელს კომპანია „ნეტსკეიფი“ (NETSCAPE) გაკოტრდა.

გამოძიებამ, რომელიც 4 წელი მიმდინარეობდა, 2002 წელს „მაიკროსოფტი“ დამნაშავედ სცნო და სახელმწიფო ზედამხედველობა დაუწესა. ვერდიქტმა დიდი დარტყმა და რეპუტაციის შელახვა მოუტანა, როგორც კომპანიას, ასევე თავად მის მფლობელს ბილ გეიტსს, მისი შემოსავლები განახევრდა.

რეპუტაციის აღსადგენად, 2000 წელს, ბილ გეიტსი იწყებს ახალ კამპანიას და ქმნის „სიღარიბესთან ბრძოლის“ ფონდს, პლანეტის გადარჩენის ეგიდით. პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანი გადაიქცა კეთილ „სამართიელად“ და თავის ცოლთან მილინდასთან

ერთად დაიწყო მსოფლიოს მესამე დონის ქვეყნების მონახულება, მან მოზამბიკაში გავრცელებული მალარიის წინააღმდეგ დაიწყო ზრუნვა ახალი ვაქცინის შექმნაზე და იმ ქველმოქმედთა სიაში ჩაეწერა, რომელშიც შედიან: ბილ კლინტონი - აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი, ტონი ბლერი - გაერთიანებული სამეფოს ყოფილი პრემიერ მინისტრი, პოლ დევიდ ჰიუსონი, იგივე „ბონო“ - მუსიკოსი, ბრიტანული იმპერიის ორდენის მფლობელი და სხვა მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები. გეიტსმა თავის შემოსავლების უდიდესი წილი 28 მილიარდ დოლარზე მეტი, ამ ფონდში დააბნადა, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ფინანსირებასაც კი აღემატებოდა.

ოფიციალური ვერსიით, პლანეტის გადარჩენაზე მზრუნველი პროექტები, სულ უფრო და უფრო მეტ დროს მოითხოვდა ბილ გეიტსისგან და იგი იძულებული გახდა 2008 წლის ივნისში დაეტოვებინა საკთარი კომპანიის მთავარი მმართველის თანამდებობა. 2014 წლის თებერვალში კი საერთოდ გაინთავისუფლა თავი მმართველის პოზიციიდან და ბიზნეს კონსულტანტის პოზიციას დასჯერდა.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული, ამერიკული ფინანსურ-ეკონომიკური ჟურნალი ფორბსის (Forbes) მაუწყებლობით, 2017 წლიდან 2018 წლის ჩათვლით ბილ გეიტსის შემოსავალი 86 მილიარდი დოლარიდან, 90 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2019 წლის ჩათვლით - 19,5 მილიარდით და დღეისათვის მისი კაპიტალი 110 მილიარდი დოლარის ფარგლებში მერყეობს.

**პლანეტის ყველაზე დიდი ფილანტროპი განსხვავებული რაკურსით.**

2010 წელს გეიტსი აფუძნებს კიდევ ერთ ე.წ. მსოფლიოს გადამრჩენთა კლუბს სახელწოდებით „კარგი კლუბი“ (Good Club), რომლის წევრებიც ასევე არიან ცნობილი მილიარდერები: ჯორჯ სოროსი (George Soros), ვორნერ ბაფეტი (Warren Buffett), ოპარ ვინფრეი (Oprah Winfrey), დევიდ როკფელერი (David Rockefeller) და ტედ ტორნერი (Ted Turner).

The screenshot shows a Guardian article from The Observer. The article title is "They're called the Good Club - and they want to save the world". The author is Paul Harris in New York. The article discusses a group of billionaire philanthropists who met to discuss solving the planet's problems. The text mentions that the club is the most elite in the world and lists members like Bill Gates, George Soros, Warren Buffett, Oprah Winfrey, David Rockefeller, and Ted Turner. It also mentions that the meeting was held in response to global economic downturn and environmental crises.



კლუბის ძირითად საზრუნავ მიზნებს წარმოადგენს, განათლება, საგანგებო სამაშველო ღონისძიებები, სამთავრობო რეფორმები, მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის სიღრმეები, გლობალური ჯანდაცვის პრობლემები, რომელიც კავშირშია ჭარბმოსახლეანობასთან და დაავადებებთან.

კლუბის ერთ-ერთმა წევრმა, აშშ-ს საინფორმაციო მაუწყებლის, „სი ენ ენ“-ის (SNN) მფლობელმა, ტედ ტორნერმა, 1996 წელს, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა დედამიწისთვის, თუ მოსახლეობის რაოდენობა 95%-ით შემცირდებოდა. 2008 წელს კი ფილადელფიაში „ტემპელ უნივერსიტი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა დედამიწისთვის 2 მილიარდამდე შემცირებული მოსახლეობა, რაც დღევანდელი მონაცემებით 75%-ით შემცირებას გულისხმობს. არგუმენტად კი ის მოიყვანა რომ გლობალური დათბობის გამომწვევი მიზეზი, სწორედ რომ პოპულაციის სიჭარბეა და საჭიროა შემცირება, ნაკლები რესურსების გამოყენების მიზნით.



ბილ გეიტსმა 2010 წელს, ერთ-ერთ გამოსვლაში, მოიყვანა დიაგრამა სადაც საუბარი იყო ერთი სული მოსახლის მიერ საშუალოდ გამოყოფილი ნახშიროქსანგის რაოდენობაზე, რომელიც შეადგენდა 5 ტონას. იგი არწმუნებდა საზოგადოებას, რომ აუცილებელი იყო აღნიშნული მაჩვენებლის ნოლამდე დაყვანა. აღნიშნული საკითხი კი დამოკიდებულია 4 ძირითად ფაქ-



ტორზე, ესენია:

- 1) მოსახლეობა;
- 2) გაწეული მომსახურება 1 სულ მოსახლეზე;
- 3) მომსახურების გაწევაზე დახარჯული ენერჯია;
- 4) გამოყოფილი ნახშიროჟანგის მოცულობა დახარჯული ენერჯიის ერთეულზე.

#### საინტერესოა რას გვთავაზობს გეიტსი გამოსავლის სახით?

აქვე უნდა დავძინოთ და ავღნიშნოთ, რომ ჩვენი უდიდესი ფილანტროპი იყენებს ნეიროლინგვისტიკური პროგრამირების მეთოდს (NLP), ფსიქოლოგიურ მანიპულაციებს ცნობიერ და ქვეცნობიერ მეხსიერებაზე ზემოქმედებისათვის. მეორეს მხრივ, ცნობიერზე იყენებს „ღია შეტევას“ ხოლო ქვეცნობიერზე ე.წ. „25-ე კადრის ეფექტს“ მის დასაპროგრამებლად და აჟღერებს ძირითად მიზანს თითქოსდა უმნიშვნელოდ. ჩვენ შემთხვევაში ე.წ. უმნიშვნელო სიტყვებს და ფრაზებს, მუქი შრიფტით გამოვყოფთ. კერძოდ: ბილ გეიტსის თქმით, ყველაზე მარტივი გამოსავალი როგორც ეს ალგებრის კურსიდანაა ცნობილი, გამომდინარე ფორმულიდან, იქნებოდა **ხალხის რაოდენობის შემცირება**. და მაინც, მოდით დავფიქრდეთ, აგრძელებს გეიტსი, ამ დროისთვის პლანეტაზე **6,8** მილიარდი მოსახლეა და ზრდის ტემპი ისწრაფვის **9** მილიარდისკენ, თუ ჩვენ ძალიან ვეცდებით და ვიმუშავებთ **ვაქცინაციაზე, ჯანმრთელობაზე, საყოველთაო რეპროდუქციულ ჯანდაცვის პროგრამებზე**, მაშინ ჩვენ შევძლებთ ამ ციფრის, **CO<sub>2</sub>** (გამყოფილი ნახშიროჟანგის მოცულობის) **10-15%** -ით შემცირებას, თუმცა მაინც გვექნება ზრდა 1,3-ით.

იბადება კითხვა, წარმოდგენილი ფორმულის საფუძველზე, რა კავშირშია აღნიშნული საკითხები ნახშიროჟანგის შემცირებასთან?

შემდეგ აგრძელებს: „**მაქვს ერთი სურვილი**“, როცა ჩვენ შევქმნით ამ ტექნოლოგიას, ანუ თუ მეტყვით რა სურვილი გაქვთ, **50** წლის მანძელზე მე შემეძლება ავირჩიო პრეზიდენტი, ავირჩიო ვაქცინაცია, არადა მე ძალიან მიყვარს ვაქცინები, ან შემიძლია ისეთი რამე მოვიფიქრო, რომ 2-ჯერ შევამცირო ნახშიროჟანგის გამოყოფა, მაგრამ მე ავირჩევ **ზუსტად ამ მთავარ ფაქტორს**, სადაც ნათლად ჩანს გრძელვადიან და მოკლევადიან აზროვნებას შორის



სხვაობა, ცხოვრების მომავალი განვითარების დონე აშშ-ი და ჩინეთში. და თუ ჩვენ ამას არ მივაღწევთ, მაშინ მილიარდობით ადამიანის ცხოვრება იქნება გაცილებით უარესი.



რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ გამოსვლის მცირე ტექსტიდან: პირველ რიგში ის, რომ გლობალური დათბობა გამოწვეული ყოფილა ანტროპოგენური ნახშიროჟანგის გამოყოფით და იმისათვის რომ ის ნულამდე დავიყვანოთ, ყველაზე მარტივი გზა ამისა არის პლანეტის მოსახლეობის მკვეთრი შემცირება.

ბილ გეთისი ასევე აგრძელებს ქველმოქმედების სახით, მიმიდნარე 10 წლის მანძილზე, ყოველწლიურად 10 მილიარდი დოლარის გამოყოფას ვაქცინაციისთვის, რაც მისი მოსაზრებით ძალიან ესაჭიროებათ ბავშვებს მთელი პლანეტის მაშტაბით, „ამით ჩვენ შევძლებთ გავანახევროთ წელიწადში ბავშვთა გარდაცვალების რიცხვი 9 მილიონიდან 4,5 მილიონამდე და მივახწიოთ წარმატებას. ამ პროცესის ღირებულება მდგომარეობს დაავადებათა შემცირებაში და მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შემცირებაში, ეს რეალურად იძლევა იმის შანსს, რომ მსგავსი ჩარევის შემთხვევაში საზოგადოებამ შეძლოს საკუთარ თავზე ზრუნვა“.

ისევ მორიგი კითხვა: რა კავშირია დაავადებათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება მოსახლეობის ზრდის ტემპების შემცირებასთან?

მოდით კიდე ერთ ციტატას მივაქციოთ ყურადღება, რომელიც ბილ გეთისმა ამჯერად უკვე 2015 წელს თავის მორიგ სასცენო გამოსვლაში განაცხადა.

„ჩემი ბავშობის პერიოდში ჩვენ ძალიან გვეშინოდა ბირთვული ომის, ამიტომ სარდაფებში ყოველთვის ვინახავდით წყლით სავსე ავზებს და კონსერვებს. დღეს კი გლობალური კატასტროფის სცენარი უკვე სხვაგვარია და გამოიყურება ვირუსის სახით.“



დღეს, თუკი რაიმე არსებობს რასაც ძალუძს უახლოესი 10 წლის მანძილზე 10 მილიონი ადამიანის განადგურება, ესაა უწინარეს ყოვლისა განსაკუთრებით საშიში ვირუსი და არა ომი. არა ჭურვები არამედ მიკრობები. ჩვენ არ ვართ მზად მომდევნო ეპიდემიურ აფეთქებასთან საბრძოლველად, როგორც ეს ერთდროს ხდებოდა დედამიწაზე 1918 წელს, ე.წ. „ესპანკასთან“ ბრძოლისას. შეიძლება გაჩნდეს ისეთი ტიპის ვირუსი, რომლის მატარებლებიც თავს გრძნობდნენ საკმაოდ მხნედ, როგორც მოგზაურობისას, ასევე სავაჭრო ცენტრებში სიარულის დროს. ვირუსი შეიძლება იყოს ბუნებრივი ხასიათისაც და ხელოვნურად შექმნილიც ბიო ტერორისტების მიერ. ასე რომ



არსებობს ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება 1000-ჯერ უფრო სახიფათო სიტუაციები შეგვიქმნას. როგორც ვიცით მსოფლიოს მასშტაბით, სულ რაღაც 263 დღეში, 1918 წელს ჰაერში გავრცე-ლებული ვირუსის წყალობით ე.წ. „ესპანკით“, დაიღუპა 30 მილიონზე მეტი ადამიანი. ეს სერიოზული პრობლემაა და არ შეიძლება გულგრილ დამოკიდებულებას ვინარჩუნებდეთ. მაგრამ ჩვენ ძალგვიძს რეალურად შევქმნათ ეფექტური რეაგირების სისტემა, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები:

ჩვენს არსენალში არის სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევები, რომელზეც ვსაუბრობდი წინათ, ჩვენ გვაქვს მობილური ტელეფონები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ ვღებულობთ ან გავრცელებთ ინფორმაციას, გვაქვს ფიჭური კავშირგაბმულობის რუქები მოსახლეობის გადაადგილების სათვალთვალოდ, ბიოლოგიური კვლევებიც არ დგანან ერთ ადგილზე და უკვე ძალიან მალე ჩვენ დაგვჭირდება მწირი დრო პატოგენების გამოსაკვლევად და მათთან საბრძოლველად მედიკამენტებისა და ვაქცინების შესაქმნელად. ანუ როგორც ასეთი, ინსტრუმენტები ჩვენ გავაჩნია, მაგრამ ახლა საჭიროა მათი გლობალური ჯანდაცვის სისტემაში დანერგვა, რომ ვიყოთ მზად გამოწვევების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამისათვის საუკეთესო გამოცდილების შეძენა შეიძლება საომარი მოქმედებების მზადების წინაპირობიდან, სადაც ჯარისკაცები იმყოფებიან მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში. ჩვენ გვაქვს სამხედრო მარაგები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საჯარისო შენაერთების გაზრდა. „ნატო“-ს გააჩნია მობილური დანაყოფები, რომელთაც ძალუბთ პროცესების სწრაფი განვითარება. ისინი აწარმოებენ უამრავ სწავლებებს, რომლის დროსაც ამოწმებენ საბრძოლო მზადყოფნას. ასევე ამოწმებენ ცოდნას წვად ქიმიკატებზე, ზურგის ოპერაციებზე და რადიო სიხშირეებზე. ამიტომ ისინი იმყოფებიან სრულ საბრძოლო მზადყოფნაში.



ამრიგად, ეპიდემიასთან საბრძოლველად ჩვენ პრაქტიკულად გვესაჭიროება იგივე სახის მზადყოფნა. ჩვენ შემთხვევაში, პირველხარისხოვანია ძლიერი ჯანდაცვის სისტემის შექმნა ღარიბ ქვეყნებში, სადაც არსებობს ყველა უსაფრთხო პირობა მშობიარობისთვის და ამავე დროს ყველა ჩვილი ვაქცინირებულია. ეს ქვეყნები პირველნი დაეჯახებიან ეპიდემიების აფეთქებას. ამისათვის ჩვენ გვესაჭიროება სამედიცინო რეზერვი, შესაბამისი სპეციალური მომზადებით, როლებიც ფლობენ ცოდნას და მზად არიან დახმარებისათვის. ჩვენ უნდა მივასადაგოდ ამ სამედიცინო პერსონალის ძალისხმევა სამხედროების ძალისხმევას, გამოვიყენოთ სამხედროების სწრაფი რეაგირების უნარი, ცოდნა ლოგისტიკის პროცესების შესახებ და გამოცდილება უსაფრთხო ზონების შექმნის ორგანიზებაში. ამისათვის კი უნდა ტარდებოდეს სწავლებები, არა

სამხედრო, არამედ ბაქტერიოლოგიური, რათა გამოვავლინოთ მოწყვლადი ადგილები. და ბოლოს, რაღატაკუნდა გვესაჭიროება თანამედროვე ტექნოლოგიები ვაქცინაციისა და დიაგნოსტიკის სფეროებში. ამ წუთას არ შემოდისა გითხრათ აღნიშნული პროცესების საწარმოებლად საჭირო დანახარჯების ზუსტი ციფრები, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ისინი საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინების ფონზე. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ბანკმა გამოთვალა, რომ გლობალური გრიპის ეპიდემიამ შეუძლია გამოიწვიოს მსოფლიო სახსრების 3 ტრილიონზე მეტის დაკარგვა და ასევე მილიონობით ადამიანის სიკვდილი.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, „სრულიად შემთხვევით“, დაახლოებით 80%-ით, ფინანსირდება ფარმაცევტული მეგა კორპორაციებისგან, რაც იმის მაუწყებელია, რომ აღნიშნული ორგანიზაცია ნებისთ თუ უნებლიედ მათი ინტერესების დამცველია.

გერმანული (FRANKFURTER RUNDSCHAU) საგაზეთო გამომცემლობის უწყებით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ დაკარგა დამოუკიდებლობა, იმის გამო რომ წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო ნაკლები სახელმწიფო იღებს ვალდებულებას აღნიშნული ორგანიზაციის დაფინანსებაზე, ამ ფაქტმა წარმოშვა არსებული რეალობა, რომლის უდიდესი წილიც კერძო მეგა ფარმაცევტული კომპანიების შემოწირულობებზე გადის. მათ მიერ ზემდინიშნული წლიური შემოწირულობების 80%-იანი მაჩვენებელი, 4 მილიარდ დოლარს აღემატება და რაც ყველაზე ნიშანდობლივია ერთ-ერთი უმსხვილესი შემომწირველი, ბილ გეიტსის და მილინდა გეიტსის ფონდი გახლავთ, რომელიც ყოველწლიურად 600 მილიონ დოლარის შემოწირულობას ანხორციელებს მჯო-ში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია იძულებულია დაიცვას შემომწირველთა ინტერესები და ხელი შეუწყოს მოგების მომტან პროგრამებს, როგორცაა ვაქცინაცია და წამლების წარმოება. ბაზისეულ ჯანდაცვაზე კი, საუბარიც აღარაა. იგი დაკავებულია თავის სპონსორებისათვის მართვის პოლიტიკის შემუშავებით.



დღესაც, ის კომპანიები რომლებიც დაკავებული არიან ვაქცინის შემუშავებით „კოვიდ-19“-ის წინააღმდეგ, ღებულობენ ბილ გეიტსის ფონდიდან გრანტებს, რაც იმაზე მიუთითებს რომ ბილ გეიტსის და მილინდა გეიტსის ფონდი, წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს. ერთ-ერთი ასეთი კომპანიაა (NOVAVAX), რომელიც არის ბილ გეიტსის ფონდის პარტნიორი კომპანია.



ასევე არის პირბრაიტის ინსტიტუტი - ბრიტანეთის სამეცნიერო ცენტრი, ცნობილი ეპიდემიოლოგიური კვლევებით, რომელმაც 2018



წლის 20 ნოემბერს, ვითომდა ერთის მხრივ, გააკეთა განაცხადი ცოცხალი კორონა ვირუსის პატენტის შექმნაზე ევროპის საპატენტო უწყებაში და რაც მთავარია ერთ-ერთ სპონსორს ამ ინსტიტუტისას ასევე წარმოადგენს ბილ გეიტსის და მილინდა გეიტსის ფონდი. თუმცა, მეორეს მხრივ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ეს ფაქტი უარყვეს.



„კოვიდ-19“-ის წინააღმდეგ ვაქცინის შექმნაზე ასევე იღწვის კომპანია „ინოვო“. კომპანიას ალებული აქვს გრანტი ე.წ. კოალიციისაგან, ინოვაციური მზადყოფნის უზრუნველყოფაში ეპიდემიის წინააღმდეგ. აღნიშნული კოალიციის მხარდამჭერად კი, აქაც ბილ გეიტსი გვევლინება.

საინტერესო სფეროა ასევე რბილი სათამაშების წარმოება კორონავირუსის სახალისო იერით, რომლის



მხარდამჭერიც აქაც ბილის და მილინდა გეიტსების ფონდია და რომელსაც გასულ წელს არიგებდნენ ერთ-ერთ მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე.

სულ ახლახანს კი 2020 წლის 5 აპრილს დაანონსდა ინციატივა „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინის 7 ვარიანტის შექმნაზე, რომლის დაფინანსებასაც ბილ გეიტსის ფონდი აპირებს.

და ისევ კითხვა: რა ამლევთ ხელს მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს ასე ღიად მოქმედების? იქნებ და ჩვენ გვეჩვენება მართლა რომ რაღაც შეთქმულების თეორიას ვისმენთ, არადა იქნებ მართლა მზრუნველობას იჩენენ იმ ღარიბ ქვეყნებზე, რომლებიც ასე საჭიროებენ დახმარებას?

მოდით გამოვყოთ და გავფილტროთ ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით ფრაზები და შევხედოთ მცირე დასკვნები სახით:

- პირველი ფაქტი რაც ყურადსაღებია არის, 2000 წელს, ბილ გეიტსის და მილინდა გეიტსის მიერ ფონდის დაარსება, რომელიც იმ პერიოდში განხორციელდა, როცა ჯერ კიდევ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა „მაიკროსოფტ“-ის წინააღმდეგ და მხოლოდ 2002 წელს დასრულდა.

ისმის კითხვა? ხომ არ ქონდა აშშ-ს მთავრობსა და „მაიკროსოფტ“-ის ხელმძღვანელს შორის, გარკვეული სახის გარიგებას ადგილი?

- ადამიანთა ცნობიერ მეხსიერებაზე განხორციელებული „ღია შეტევა“- დარწმუნება:
  - 1) არსებობს გლობალური პრობლემა პლანეტაზე გამოყოფილ ნახშიროქსიდთან მიმართებაში და აუცილებელია შემცირება;
  - 2) 4 ძირითადი გასანეიტრალებელი ფაქტორი, ფორმულა;
  - 3) მისაღები ზომები: მოსახლეობის ჯანმრთელობის მიზნით ვაქცინაციის ხელმისაწვდომობა, საყოველთაო რეპროდუქციულ ჯანდაცვის პროგრამებზე მუშაობა;
  - 4) „მაქვს ერთი სურვილი“- ვაქცინაციის სურვილის ქონა, შეყვარება;
  - 5) მე ავირჩევ ზუსტად ამ მთავარ ფაქტორს - ვაქცინაციის მთავარ ფაქტორად მიჩნევა;
  - 6) გეიტსი აგრძელებს ყოველწლიურად ვაქცინაციისათვის თანხების გამოყოფას - აუცილებელ პირობად მიჩნევა და მოუწოდებს აღნიშნული ქმედებისკენ;
  - 7) ვაქცინაციის ღირებულება მდგომარეობს დაავადებათა შემცირებაში;
  - 8) გლობალური კატასტროფის სცენარი უკვე სხვაგვარია და გამოიყურება ვირუსის სახით;
  - 9) ვირუსი შეიძლება იყოს ბუნებრივი ხასიათისაც და ხელოვნურად შექმნილიც;
  - 10) გვაქვს ფიჭური კავშირგაბმულობის რუქები მოსახლეობის გადაადგილების სათვალთვალოდ - კონტროლი მექანიზმი ხელმისაწვდომია;
  - 11) ახლა საჭიროა მათი გლობალური ჯანდაცვის სისტემაში დანერგვა;
  - 12) სამხედრო შენაერთების გამოყენების აუცილებლობა;
  - 13) სამხედრო და სამედიცინო პერსონალის ერთად ჩართვა პანდემიოლოგიურ სწავლებებში, ტრენინგებში;
  - 14) ტრენინგები წვად ქიმიკატებზე, ზურგის ოპერაციებზე და რადიო სიხშირეებზე;
  - 15) ძლიერი ჯანდაცვის სისტემის შექმნა ღარიბ ქვეყნებში;
  - 16) მსოფლიო სახსრების 3 ტრილიონზე მეტის დაკარგვა;
  - 17) მილიონობით ადამიანის სიკვდილი.
- ადამიანთა ქვეცნობიერ მეხსიერებაზე განხორციელებული „25-ე კადრის ეფექტი“- მომავალი ქმედებებისთვის დაპროგრამება.
  - 1) ხალხის რაოდენობის შემცირება;


- 2) ავირჩიოთ ვაქცინაცია;
- 3) თუ ჩვენ ამას არ მივალწევთ, მაშინ მილიარდობით ადამიანის ცხოვრება იქნება გაცილებით უარესი - შიშის ჩანერგვა;
- 4) ვაქცინაციის ღირებულება მდგომარეობს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შემცირებაში;
- 5) 10 წლის მანძილზე 10 მილიონი ადამიანის განადგურება;
- 6) შეიძლება გაჩნდეს ისეთი ტიპის ვირუსი, რომლის მატარებლებიც თავს გრძნობდნენ საკმაოდ მხნედ;
- 7) ჩვენ გვაქვს მობილური ტელეფონები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ ვღებულობთ ან ვავრცელებთ ინფორმაციას;
- 8) ღარიბი ქვეყნები პირველნი დაეჯახებიან ეპიდემიების აფეთქებას - გაფრთხილება განსახორციელებელი ფაქტის მიმართ და შიშის ჩანერგვა;



საინტერესო ისაა რომ ჩვენ, თავად გეიტსის მიერ, გასულ წლებში საინფორმაციო საშუალებებში გაჟღერებული ინფორმაციის ანალიზი მოვახდინეთ და ნათლად დავინახეთ დღევანდელ შექმნილ ვითარებაში იდენტურობა, რომელიც წლების წინ გაჟღერდა.

და ისევ გვახსენდება სტატიის თავში დასმული კითხვა: ბილ გეიტსი ფილანტროპი? თუ არჩევანის არ მქონე?

**P.S.** ქართველებს ერთი კარგი ანდაზა გვაქვს: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“. თუმცა, ამ შემთხვევაში ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ: „ვინც წინასწარ გაფრთხილებულია, ესეიგი შეიარაღებულიაო“, ვართ კი ჩვენ შეიარაღებული, ან თუ ვართ რითი? რა საშუალებაა რომელიც გვიცავს ან დაგვიცავს მილიარდებისგან? საკითხავი აი ეს არის?



გ.გრატიაშვილი



## საწყისის სასრული და სასრულის საწყისი ჟამი ადამიანთა არაადამიანურობისა

**2018** წლის დეკემბრიდან, მიმდინარეობს კამპანია მესიისთვის სამეფო გვირგვინის დასამზადებლად. კამპანიის მესვეურნი იმედოვნებენ, რომ აღნიშნული გვირგვინის დამზადება დააჩქარებს „მეფის“ გამეფებას. არავისთვის საიდუმლო აღარაა, რომ ისრაელი, 2000 წლიდან ელოდება მესიის გამოჩენას და ემზადება ე.წ. მესამე ტაძრის ასაშენებლად, სადაც დაჯდება ანტიქრისტე და გააერთიანებს ყველა რელიგიის წარმომადგენელს, ყველა ერს. (ე.წ. ეკუმენისტური კავშირი).

ერთ-ერთი ნიშანი გადაგვარების არის იმ ბავშვების ახალი თაობა, რომლებიც საკუთარ მშობლებსაც კი ვერ გადაასწრებენ ასაკში სიცოცხლის ხანგრძლივობით და მითუმეტეს რომ ვერ უზრუნველყოფენ მათ პენსიით.

შემდეგი ნიშანი ისაა, რომ სახელმწიფო მოწყობის მოდელებმა, როგორცაა სოციალიზმი, კომუნიზმი და კაპიტალიზმი, ამოწურეს თავიანთი თავი და აუცილებელია ახალი წყობის დამკვიდრება. ახალი მსოფლიო წესრიგის, (ე.წ. ანტიქრისტეს წყობის).

1994 წლის 14 სექტემბერს, **დევიდ როკველერმა** გაერთიანებული ერების კონფერენციაზე განაცხადა, რომ ქვეყანა გლობალური ცვლილებების ცისკარზეა და იმისათვის, რომ ხალხმა ახალი წეს-წყობილება მიიღოს, სერიოზული, მნიშვნელოვანი ახალი კრიზისის გამოწვევა საჭიროა.

ინგლისის დედოფლის ქმარმა, **პრინცმა ფილიპმა** ერთხელ განაცხადა, რომ „თუ შეეძლებოდა რეინკარნაცია, ის ისურვებდა რომ დაბრუნებულიყო დედამიწაზე მომაკვდინებელი ვირუსის სახით, რათა შეემცირებინა მოსახლეობის ზღვარი დედამიწაზე.“

ცნობილი მკვლევარი **ჟაკ ივ-კუსტო**, 1994 წელს წერდა: იმისათვის რომ დავასტაბილუროდ მსოფლიო მოსახლეობა უნდა ყოველდღიურად ვანადგუროთ **350 000** მოსახლე.

**გენრი კესენჯერი** - მსოფლიო მოსახლეობა უნდა შემცირებულ იქნას 50%-ით.

**ტედ ტორნერი** - მსოფლიო მოსახლეობის **95%**-ით შემცირება, რაც **250-300** მილიონ ადამიანს უტოლდება, იქნებოდა იდეალური ვარიანტი დედამიწისთვის.

**1980** წლიდან, აშშ-ს ჯორჯიის შტატში, დგას ქვის ბლოკების **6** მეტრიანი მონუმენტი, თორმეტ ენაზე ამოტვიფრული 10 მიზნით ახალი მსოფლიო წესრიგის მისაღწევად. (ე.წ. უღმრთო ეპოქის შესაქმნელად).

1 მიზანში ვკითხულობთ: არ გადააჭარბოს მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობამ **500** მილიონს და იმყოფებოდეს ბუნებასთან ჰარმონიაში. ზემოაღნიშნული თეზისის მოქმედებაში მოყვანას, მოსახლეობის დეპოპულაციას, მავანი მესამე დონის ქვეყნებში ანხორციელებს, ომების, კრიზისის, შიმშილის და პანდემიის შექმნით. განვითარებულ ქვეყნებში ადამიანების



წინააღმდეგ ფარული, წყნარი დაპირისპირება მიმდინარეობს. აღნიშნულის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა **ჯონ კენედიმ**, სიკვდილამდე **7** დღით ადრე თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ „არსებობს შეთქმულება ყოველი კაცის, ქალის და ბავშვის დამონების. სანამ მე დავტოვებ ამ მაღალ და კეთილშობილ თანამდებობას, ვაპირებ გამოვააშკარავო ეს შეთქმულება“.

კონგრესმენი ლარი მაკდონალდი - **1983** წელს, მკვლელბამდე **3** თვით ადრე ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა როკველერის და მისი მომხრეების მისწრაფებების შესახებ, რომ სურდათ გაეერთიანებინათ

ერთი ქუდის ქვეშ სუპერ კაპიტალიზმი და კომუნიზმი, და დაექვემდებარებინა საკუთარ კონტროლს. რაც იმას ნიშნავდა რომ არსებობდა საერთაშორისო მოცულობის შეთქმულება, საკმაოდ ძველი დროიდან მოყოლებული და რაც მთავარია ბოროტი განზრახვის.

#### **გეოინჟინერია** - როგორც ქიმიური გზები

სიაიის (CIA) დირექტორი ჯონ ბრენნანი გლობალური დათბობის შეჩერების მიზნით, დაინტერესდა ე.წ. გეოინჟინერიის ტექნოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს სტრატოსფეროში სპეციალური თვითმფრინავებით აეროიზოლაციური ნწილაკების გაფრქვევას, რომელიც ირეკლავს მზის სხივებს, სითბოს და ეხმარება გლობალური დათბობისგან თავის არიდებაში, ეკონომიკური მდგომარეობისთვის ერთგვარი დროის მოგებაში იმ დრომდე სანამ შესაძლებელი გახდება ახალ უსაფრთხო ალტერნატიულ საწვავზე გადასვლა. შხამქიმიკატების გაფრქვევით, როგორცაა ტყვია, ალუმინი, მანგანუმი, რომელიც უკანასკნელ წლებში 2007 წელს იქნა კვლევებით დადგენილი, ზეგავლენას ახდენს მოსავლიანობაზეც, რადგან ალუმინის ფესვებში მოხვედრა ხეებს ახმობს, მსგავსად უწყლოობისა. ალუმინის ყანგბადში გაზრდილმა კონცენტრაციამ გამოიწვია ასევე ფუტკრების დახოცვა, ხოლო ზღვაში კი თევზების და ეს ყველაფერი გლობალური დათბობის თემას ამოფარებული გეოინჟინერიის წყალობით. ხანდახან გასული საუკუნის 1930-წლებიდან, განსაკუთრებით 40-იან წლებში, 1972-ის ჩათვლით, ექსპერიმენტები ტარდებოდა არა მარტო ცალკეულ ინდივიდებზე, არამედ მთელ ქალაქებზეც კი, რასაც ხალხი ვერ ხვდებოდა. ჯანმრთელ ადამიანებს აშშ-ს შტატ ალაბამაში აავადებდნენ სიფილისით. 50-იან 60-იან წლებში მოსახლეობაზე ცდიდნენ რადიოაქტიურ ელემენტებს (ZnCdS). დღეს, ადამიანებზე მსგავსი საექსპერიმენტო ცდები, ტარდება საერთაშორისო მაშტაბებში.

#### **გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები**

მოსახლეობისთვის უცნობია თუ რატომია სახიფათო გენმოდიფიცირებული პროდუქტები. უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეთა გენმოდიფიცირებისათვის გამოიყენება 4 მეთოდი: 1) დამტვერვა; 2) რადიაცია; 3) ერთეული გენების გათიშვა; 4) მცენარის გენში, უცხო მცენარის გენის განთავსება.


ტრანსგენურ მცენარეებში შესაძლებელია არსებობდეს სხვა ცოცხალი ორგანიზმების გენებიც: ცხოველების, მწერების და თვით ადამიანისაც კი. აშშ-ში კულტურული მცენარის, როგორცაა სიმინდი, 93% უკვე გენმოდიფიცირებულია. ყოველი ცალკეული კვლევების დასკვნების საფუძველზე, ირკვევა რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი იწვევს იმუნური სისტემის დაქვეითებას, უნაყოფობას, ორგანოების დაზიანებას. დღეს უკვე დაპატენტებულია ოფიციალურად უნაყოფობის გამომწვევი რამოდენიმე გენი, სხვადასხვა კომპანიების მიერ EPICYTE, DU PONT და MONSANTO. გამოთვლილია, რომ თუ 60 ცალ გენმოდიფიცირებულ თევზს შეუშვებთ 60 000 ბუნებრივი ჯიშის თევზში, ისინი 40 თაობის შემდეგ გაქრებიან. ქათმები რომლებიც გენმოდიფიცირებულ საკვებზე იზრდებიან, ავტომატურად ეცვლებათ გენი და ხდებიან გენმოდიფიცირებულები.

#### **ფარმაკოლოგია**

ფარმაკოლოგია არის კიდევ ერთი მეთოდი ადამიანებთან ჩუმიად ბრძოლის, რომლის განვითარებაც როკველერების გვარის დამსახურებაა. რომელიც დღემდე ფინანსირდება ვაქცინაციის მხარდასაჭერად. მოსახლეობის ვაქცინაციის შემდეგ, ხშირად თავს იჩენდა ეპიდემიის მეორე ტალღა. მაგალითად ინგლისში 1867 წლიდან 1870 წლებში, ჩუტყვავილას სავალდებულო ვაქცინაციის პროცესმა მოსახლეობის 97.5% მოიცვა. ერთი წლის თავზე კი 1871 წელს, ჩუტყვავილამ 44840 ადამიანი იმსხვერპლა. ასევე 1918 წელს, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ჯარისკაცები, ავრილი იქნენ უკლებლივ, თუმცა გრიპის ვირუსმა ისინი დაასნებოვნა. 1918-1919 წლებში გავრცელებულმა გრიპის „ესპანკას“ შტამის გენეტიკურმა კვლევებმა, რომელიც 2001 წელს განხორციელდა, არ გამოავლინა სერიოზული სხვაობა დღეისათვის არსებულ ვირუსის შტამებთან მიმართებაში. მაშ რამ აქცია ესპანკა ასეთ მომაკვდინებელ ვირუსად? დღეს უკვე ვიცით რომ სიმპტომები, რომელსაც აღნიშნული ვირუსი იწვევდა უნდა გამოწვეული ყოფილიყო ტოქსინებით, რომელსაც თავად ვირუსი არ შეიცავდა. მაშ საიდან გაჩნდა მომაკვდინებელი რაოდენობის

ტოქსინები? როგორც ჩვენთვის ცნობილია მოსახლეობა იმის შიშით რომ ომიდან დაბრუნებული ადამიანები დააინფიცირებდნენ მათ ვირუსით, მიმართეს სამედიცინო დაწესებულებებს აცრების გასაკეთებლად და მათში არსებულმა შხამებმა და ბაქტერიებმა, გარდაქმნეს არსებული ვირუსი მომაკვდინებელ იარაღად. **1919** წლის ზაფხულისთვის ვირუსმა არსებობა შეწყვიტა, ხოლო მისგან გამოწვეული დაავადებები კი არსად არ გამქრალან, მათ უბრალოდ სხვა დასახელებები უწოდეს. ცნობილია ისიც რომ ბავშვებში გაზრდილმა აცრების რაოდენობამ, არამც თუ შეამცირა დაავადებები, არამედ დამაზიანებლადაც კი იმოქმედა. **1986** წლამდე, სანამ აშშ-ს კონგრესი მიიღებდა გადაწყვეტილებას აცრების სავალდებულო ღონისძიებებად დაწესების. აშშ-ი **10000** ბავშვზე **1** ბავშვი ავადდებოდა აუტიზმით. **1995** წლიდან სადაც აცრების კეთება უკვე რეგულარულად მიმდინარეობდა, **1000** ბავშვზე **1** ავადდებოდა აუტიზმით, ხოლო **2018** წლის მონაცემებით **59**-დან **1** ბავშვი. გამოდის რომ აცრები, იმუნური სისტემის ძალით დაქვეითებას ემსახურება.

ბილ გეიტსის კამპანია **2003** წლიდან მოყოლებული აქტიურად ცდილობს მოსახლეობის დარწმუნებას ახალი თაობის აცრების ეფექტურობაში და ამავედ როს ხმამაღლა აცხადებს რომ



აღნიშნული საკითხი ხელს შეუწყობს შობადობის და მოსახლეობის პოპულაციის კონტროლს. საინტერესოა ის ფაქტიც რომ ერთ-ერთი კვლევით, ფანატიკოსების ე.წ. რელიგიური ფუნდამენტალისტების გამოვლენის მიზნით, რომლის დროსაც შეისწავლიდნენ რელიგიურ და არალეგიური ადამიანებს, დაადგინეს სულიერების გენი **VMAT-2**, რომელსაც ზრდასრული ადამიანები ატარებენ და რომლის მოკვლაც ვირუსის საშუალებით აღმოჩნდა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე **2005** წელს აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ კვლევების შედეგად მიიღო და დამტკიცა სულიერების საწინააღმდეგო აცრა, ვაქცინა, რომელიც

დაეხმარებათ რელიგიური ფუნდამენტალისტების, ფანატიკოსების ე.წ. „ნორმალურ ადამიანებად“ გადაქცევაში, დამორჩილებაში. პროექტის სახელწოდება გახლდათ „პანდექს“.

**ტექნოლოგია 5G.**

გასული წლების მანძილზე, **5G** ტექნოლოგიის დაწესებას არაერთი პრესკონფერენცია მიეძღვნა აშშ-ში. ასე მაგალითად, **2019** წელს, აღნიშნული პროექტის ლობისტი ტომ ველერი აცხადებდა, რომ აუცილებლად მიაჩნდათ **5G** ტექნოლოგიის დაწესება შტატებში, რომ მათ წამყვან კომპანიებს შეენარჩუნებინათ პირველი ადგილი კონკურენტების წინაშე. აღნიშნული ტექნოლოგიის განვითარებაში მილიონობით დოლარი იქნა გამოყოფილი, რომელიც იძლევა საშუალებას ეკონომიკაში დაბანდებების განხორციელების და აუცილებელია მისი





სასწრაფო წესით მოხმარებაში გაშვება. ტომ ველერმა 5G ტექნოლოგია ნაციონალურ პრიორიტეტად შეაფასა და განაცხადა რომ განსხვავებით სხვა ქვეყნებისა არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად მის უსაფრთხოებაზე წლობით კვლევების წარმოება, რადგან მომავალს თავისი განვითარების გზა აქვს და ის არაფერმა არ უნდა შეაფერხოს, ჩვენ არ ვაპირებთ სტანდარტების შემუშავების ლოდინს და თუ მაინც ვინმე გეტყვით რომ არ იციან 5G ტექნოლოგიას რა მახასიათებლები და საფრთხეები გააჩნია, განერიდეთ მათ. თუ ვინმეს აზრით რაიმე არ უნდა შეერთდეს, ის მაინც შეერთდება, მისი მეშვეობით მოხდება პროდუქციაში განთავსებული ასობით მილიონი მიკროჩიპის ერთმანეთთან დაკავშირება, მათ შორის წყლისა და მცენარეებისაც კი. 5G ტექნოლოგია არ იქნება შემოფარგლული მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მამტაბებით, იგი მთელი მსოფლიოს კუთხე-კუნჭულს დაფარავს.

5G ტექნოლოგია იძლევა მაღალ სიჩქარეს, დაბალ ენერგომომხმარებას, მრავალფუნქციონირებას და



დაბალ ფასს. თუმცა არაერთი კვლევებით დასტურდება, რომ 4G და „ვაი-ფაი“ ტექნოლოგია იწვევს კიბოს, მაღალ არტერიულ წნევას და ანადგურებს დენემს. 2011 წელს თავად მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამაც კი აღიარა რომ „ვა-ფაის“ და უსადენო მობილური ტელეფონების ელექტრო-მაგნიტური რადიაცია, გამოსხივება იწვევს კიბოს. დედამიწის და ადამიანის ელექტრო მაგნიტური სიხშირე, ცნობილია რომ არის თანაბარი,

ერთნაირი და მერყეობს 3 ჰერციდან 30 ჰერცამდე. 4G ტექნოლოგია არის 3 გიგაჰერცი სიხშირის ტალღები, ხოლო 5G - 30 გიგაჰერცი და მეტი. აქედან გამომდინარე რთული არ იქნება წარმოვიდგინოთ თუ რამხელა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ეს უკანასკნელი. 5G წარმოადგენს დღეისათვის არსებულ ტექნოლოგიებზე 100-ჯერ უფრო მეტად ფოკუსირებულ და კონცენტრირებულ ელექტრო-მაგნიტური ტალღების ნაკადს, მსგავსად იმ იარაღისა რომელიც იყენებს ენერჯის კონცენტრირების მეთოდს.

მიმდინარე დროს, არსებობს საერთაშორისო მიმართვა ევროკავშირის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მისამართით, ხელმოწერილი 237 მეცნიერის მიერ, მსოფლიოს 41 ქვეყნიდან, მსგავსი ტიპის ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების საშიშროებაზე. მეცნიერები მოუწოდებენ ხელში აიღონ ინიციატივა და ყურადღება გაამახვილონ აღნიშნულ საკითხზე, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობაზე. გააფრთხილონ მოსახლეობა და იფიქრონ ალტერნატიული გზებით განვითარებაზე.

**ტრანს-ჰუმანიზმი და ხელოვნური ინტელექტი**

ზოგიერთი „კეთილშობილი“ მეცნიერის მტკიცებით, დედამიწის სიხშირე ათასობით წელი იყო უცვლელი და შეადგენდა 7,83 ჰერცს. დღეს კი, სიხშირე 9.6 ჰერცია და კვლავაც განაგრძობს ზრდას.

ტრანს-ჰუმანიზმის აზრით, დედამიწამ ძალიან ახლო მომავალში უნდა განიცადოს ტრანსფორმაცია, რაც თავის მხრივ იმოქმედებს ადამიანების



არსებობაზე. ამიტომ მათ მიაჩნიათ რომ ადამიანებს ესაჭიროებათ ევოლუციური გარდაქმნა უფრო მაღალ არსებად, რაც მათი მხრიდან გულისხმობს გარდაქმნის დაჩქარებას ხელოვნურად, რადგან კაცობრიობას ბუნებრივად გარდაქმნის დრო აღარ აქვს. ამისათვის კი აუცილებელია ხელოვნურ ინტელექტთან ინტეგრირება ან დნმ-ის გაუმჯობესება, ან ერთიც და მეორეც ერთდროულად. ერთ-ერთი ვერსიით, აღნიშნულ გარდაქმნებს ისინი წლების მიხედვით ქვემოთ მოცემულ ეტაპებად ყოფენ:

**1 ეტაპი: 2015 – 2020 წწ.** ადამიანის სხეულის ხელოვნური ასლის შექმნა, კლონირება, რომელიც იმართება ნეიროინტერფეისის მეშვეობით გენერირებული აზრების საფუძველზე. (ე.წ. „ანდროიდი“, „კიბორგი“).

**2 ეტაპი: 2020 – 2025 წწ.** ადამიანის სხეულის ხელოვნურ ასლში სიკვდილის წინ ტვინის გადანერგვა. („ნახევრად ადამიანი“, სხეულის დაბერების შედეგად მისი ხელოვნური ასლით შეცვლა და არსებული ბუნებრივ ტვინის გადანერგვა მისი ფუნქციონირებისათვის).

**3 ეტაპი: 2030 – 2035 წწ.** ადამიანის სხეულის ხელოვნურ ასლში სიკვდილის წინ ცნობიერების გადატანა - „დაჩიპვა“. (აწ უკვე ხელოვნურ სხეულში და მის დაჩიპულ გონებაში ხელოვნური ცნობიერების „ცოდნის ბაზის“ ჩატვირთვა),

**4 ეტაპი: 2040 – 2045 წწ.** ადამიანის სხეულის ჰოლოგრამად გარდაქმნა. (სხეულის არამატერიალური, ვირტუალური გამოსახულების შექმნა, რომელიც არ იქნება დამოკიდებული დროსა და სივრცეზე და შეძლებს გაჩენას სამყაროს ნებისმიერ წერტილში, თუნდაც ამ ეტაპზე მზის სისტემის რომელიმე პლანეტაზე, როგორცაა დღეისათვის აქტუალური კვლევის ობიექტი, პლანეტა მარსი).

აღსანიშნავია ისიც რომ ვინც არ ისურვებს ევოლუციურ განვითარებას, გაირიყებიან საზოგადოებიდან და განადგურდებიან.

გენური ინჟინერიის გამოყენებით, ნახევრად ადამიანი და ნახევრად ბაყაყი, ე.წ. ანენცეფალი მეცნიერებმა შექმნეს **2010** წელს. ასევე ჰიბრიდული, ადამიანის მსგავსი გაურკვეველი არსება, რომელიც ძროხას ამშობიარებინეს, მოხდა ტაილანდში, **2009** წელს. დღეისათვის არაერთი არხის მეშვეობით ცდილობენ მესვეურნი „ინოვაციური მეცნიერების“ პროპაგანდირებას, რომლის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი დღეისათვის კარგად ცნობილი ილონ მასკის ინტერვიუ გახლავთ, რომელიც აღნიშნავს ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკვლევ საკითხს მის კომპანიაში და უკავშირდება ე.წ. ნეირონულ ბადეს (**Neural Lace**), განკუთვნილს ადამიანის ტვინსა და ქერქს შორის ჩასასმელი იპლანტი, რომელიც მისცემს ადამიანს საშუალებას ტვინის ნეირონები დაუკავშიროს ინტერნეტს. მისი განთავსება შესაძლებელი ნემსის სახით ვენების და არტერიის გზით.

### ხელოვნური ინტელექტი

ადამიანები დიდი ხანია აპროექტებენ და იყენებენ სხვადასხვა სახის რობოტო ტექნიკას სხვადასხვა დანიშნულებით, თუმცა დღემდე მათ ადამიანის სახე არ ქონიათ, როგორცაა კომპანია „**Hanson Robotics**“-ის მიერ შექმნილი „**ბინა**“ და „**სოფია**“ მათი მწარმოებლები ამტკიცებენ რომ რობოტები სწავლობენ ვაი-ფაის ქსელის მეშვეობით და რასაც სწავლობს ერთი დანარჩენებიც ავტომატურად ეუფლებიან. ცხადია რომ გარკვეული დროის მერე რობოტო ტექნიკა დაიწყებს განვითარებას, დასწავლას ადამიანებისგან დამო-



რობოტი „სოფია“ გაიწვიეს სხლოვანა კითხვა-პასუხის პროცესში

უკიდებლად და ერთ მშვენიერ დღეს ადამიანებს გაუჭირდებათ მათი გაკონტროლება და იძულებული გახდებიან მიიჩნიონ და პატივი სცენ როგორც საზოგადოების სრულუფლებიან წევრებს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რობოტი „სოფია“ საუდიის არაბეთში მიჩნეულ იქნა როგორც ცოცხალი არსება და მიენიჭა მოქალაქეობა.

რობოტების მიმართ როგორც ადამიანის მიმართ დამოკიდებულება, ფას უკარგავს ადამიანურ ღირებულებებს, პიროვნულობას, მორალურ თვისებებს და თვით ადამიანურ სიცოცხლესაც კი. სამწუხაროდ ეს ფაქტი ბოლო ჟამის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი და ამოცანაა მიმართული ადამიანის წინააღმდეგ. ამ ყოველივეს იდეა, ადამიანების ღვთისგან განდგომილების მიღწევას ემსახურება. გასაოცარია მაგრამ ხელოვნური ინტელექტის ეკლესიაც კი არის უკვე შექმნილი. ამ იდეით იმდენად არიან შეპყრობილები ზოგიერთი მეცნიერი, როგორცაა საძიებო სისტემა „გუგლი“-ის ინჟინერი, რომ ხმამაღლად კი აცხადებს ერთ-ერთი საგაზეთო სტატიისთვის (NEWS PUNCH, 2019), რომ მუშაობს „ღმერთი რობოტის“ შექმნაზე, რომელიც შეძლებს ადამიანების მართვას.

არსებითად, ხელოვნური ინტელექტის შექმნით და განვითარებით ადამიანი ქმნის ერთგვარ ღმერთს, მიუხედავად იმისა იქნება ის კეთილი თუ ბოროტი, თუმცა ამის გაგებას სავარაუდოდ მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როდესაც უკვე შესაძლოა, რომ გვიანიც კი იყოს. ერთ-ერთ ინტერვიუში, მილიარდერი ილონ მასკი აცხადებს, რომ ხელოვნური ინტელექტის შექმნით პრაქტიკულად მოუხმობთ ემმასკო. ე.წ. ნაქები რობოტი „სოფია“ კი, ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ დასმულ კითხვაზე, მისთვის ერთ-ერთ ხუმრობით დასმულ კითხვაზე, გაანადგურებ ადამიანებს თუ არა და გთხოვ მიპასუხო რომ არაო, ღიმილით პასუხობს - მე გავანადგურებ ადამიანებს.

**გლობალური დათბობა**

გლობალური დათბობა შეიძლება ითქვას რომ არის ხელოვნურად გამოწვეული, ვინაიდან გასულ საუკუნეში მიზანმიმართულმა ჩარევებმა კლიმატში, რადიაციულ ფონში, ჟანგბადსა და წყლის ქიმიკატებში და გენურმა ინჟინერიამ, გამოიწვია გარემოს დაბინძურების პრობლემა და ხელი შეუწყო ახალი მსოფლიო წესრიგის მქადაგებელ მმართველ ელიტას, დაეყენებინა დღის წესრიგში საუკუნის ტყუილი, სახელწოდებით - გლობალური დათბობა. ყველაზე ნიშანდობლივი ისაა, რომ მავანი ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზად მოსახლეობის სიმრავლეს ასახელებს და 1992 წლიდან, ანვითარებს პროექტს 21-ე საუკუნის მსოფლიო საზოგადოების გარდასაქმნელად. აღნიშნული პროექტის თანახმად, 172-მა ქვეყანამ გამოხატა თანხმობა ჩართულიყო გეგმაში, კერძოდ: ალერიცხათ დედამიწის მთელი რესურსი, ფლორა, ფაუნა, წყლის მარაგები, წიაღისეული, ენერგო რესურსების წყარო და სხვა, რათა შემდგომში მოეხდინათ მათზე კონტროლის დაწესება. ერთ-ერთ მიზნად წარმოდგენილი იყო მთელი მოსახლეობის იდენტიფიცირება ე.წ. აიდი ბარათებით (ბიომეტრიული პირადობის მოწმობების გაცემა). აღსანიშნავია ის ფაქტი რომ თავდაპირველად აიდი ბარათების აღება იყო ნებაყოფლობითი, დღეისთვის კი უკვე ყველასთვის სავალდებულოა, რადგან მათ გარეშე ფაქტიურად ვერსად ვერ გაივლი რეგისტრაციას.

2015 წელს მონეობილი ფორუმი, 2030 წლისთვის მსოფლიოს მდგრადი განვითარების მუხახეპი (ფორუმი იყო გამომხატველი პრეზიუმის, რომელიც 1992 წელს ნაიხანა)




პროექტის თანახმად 2030 წლისთვის დაგეგმილია რიგი ცვლილებების შეტანა სხვადასხვა საქმიანობებში, ან თუნდაც საერთოდ დახურვა, რომლებიც ითვლებიან არა სტაბილურ საქმიანობად, როგორცაა ყველა სახის კერძო საკუთრება და მათზე გავრცელებული უფლებები; ყველა სახის სარწყავი და სათესი კულტურები; მეცხოველეობა; გაზის, ქვანახშირის და ნავთობის წარმოება; პირად



საკუთრებაში არსებული ავტომობილები და სხვა. ერთ-ერთი გლობალისტის, ალან გრეგის თქმით, რომელიც წარსულში როკფელერების ფონდს ხელმძღვანელობდა, განაცხადა, რომ „ადამიანი ბუნების კიბოაო და იმისათვის რომ დედამიწამ შეძლოს თავის განკურნება, ყველა ადამიანი უნდა სოფლებიდან დიდ ქალაქებში გადავიდეს საცხოვრებლად. შემდეგ გაუდაბურდეს მიტოვებული მიწები ისე, რომ კაპიტალისტებისთვის კაპიტალის დაბანდება გახდეს მიუღებელი. შეჩერდეს ახალი კაშხლების მშენებლობა და დაინგრეს ყველა არსებული, რომ განთავისუფლდეს დამწყვდეული მდინარეები და დაუბრუნდეს ბუნებას ველური სახე“. აღნიშნული საკითხების მიხედვით დღეისათვის უკვე შემუშავებულია სპეციალური რუქები ქვეყნების მიხედვით, ე.წ. ბუნების დაცვის მიზნით, სადაც დატანილია წითელ, ყვითელ, სტაფილოსფერ და მწვანე ფერებში ის ადგილები რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. მწვანე ფერით აღნიშნულია ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილია ბუნებრივი ფუნქციონირებისათვის, ყვითელ და სტაფილოსფერად - საკონტროლო ზონები, წითლად კი ადამინისთვის აკრძალული ზონები. ცხადია რომ მწვანე ზონები ძალზედ მცირეა და პრაქტიკულად არც კი შეიმჩნევა რუქებზე. როკფელერის ფონდმა მილიარდებიტ დააფინანსა პროექტი: აშშ-ის 100 სტაბილური ქალაქი, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობენ კერძო სახლებში და არა ბინებში. რომელთა ნაცვლადაც უნდა აშენდეს პატარა, კომპაქტური ერთ ოთახიანი ბინები, რომელიც დღეისათვის უკვე სავსად ბევრია. აღნიშნული სახის პროექტი დღეს ტესტირებას გადის ჩინეთში და ყოველ 2 წელიწადში ერთხელ შენდება 12 მილიონ მოსახლეზე გათვლილი ახალ-ახალი ქალაქები, რომელთაც „მოჩვენებათა ქალაქებს“ უწოდებენ. თუმცა მათი ყიდვა დიდი ფასის გამო ღარიბ მოსახლეობას არ ძალუძს, მათი შესახლება კი სახელმწიფოს კმაყოფაზე 2030 წლისათვის არის დაგეგმილი. საკითხავი რჩება მხოლოდ ერთი, რა სახით უნდა განახორციელოს ხელისუფლებამ? ერთ-ერთი ვერსია არის საფინანსო კრიზისის გამოწვევა და გამოუვალი მდგომარეობის გამო გადასვლა საცხოვრებლად. მეორე - შეიძლება იყოს ბუნებრივი სტიქიების გამოისობით, რომელსაც გამოიწვევენ ხელოვნურად. ლოკალური ხანძრის კერების გასაჩენად, დღესდღეობით წარმატებით გამოიყენება კონცეტრირებული ენერჯის იარაღები მიკროტალღური სხივების სახით, ან ლაზერის სხივი, რომლის დასახლებულ პუნქტებზე გამოყენების დიდი ვარაუდიც, 2018 წლის ნოემბერში, აშშ-ს კალიფორნიის შტატში მომხდარ ინციდენტს უკავშირდება. თვითმხილველების თქმით, სახლებზე, ხანძრის გაჩენამდე, ჰაერში შეიმჩნეოდა მოცისფრო-მომწვანო სხივების სვეტები, რომლის შედეგადაც ლითონის სახის ნაკეთობა დნებოდა, ხოლო პლასტმასი კი უვნებელი დარჩა. ერთ-ერთი ასევე ნიშანდობლივი საშუალებაა ტერორისტული აქტის სახელით ელექტრო ენერჯის გათიშვა და ქალაქების ჩაბნელება, რაც საქართველოში 90-იან წლებში წარმატებით განხორციელდა. უკმაყოფილო მოსახლეობის გაჩენის შედეგად კი ექსცესების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფოს ეძლევა უფლება გამოაცხადოს საგანგებო სიტუაცია და უსაფრთხოების დაცვის მიზნით განახორციელოს იძულებითი მოქმედებები მათ შორის მოსახლეობის ევაკუაციისა და დისლოკაციის შეცვლით.

